სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

02 ოქტომბერი 2025

N 586/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქალაქ რუსთავში შპს „ალტერვეისტი“-ს 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ალტერვეისტი“-ს მიერ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების (შემდგომ – გზშ) საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო) წარმოდგენილია კოდექსის II დანართის მე-10 პუნქტის 10.5 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის (10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა) სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, 2021 წლის 23 აპრილს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემულია „ქ. თბილისში, შპს „ალტერვეისტი“-ს 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის (ნარჩენი ზეთები) დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ №2-519 ბრძანება, რომლის საფუძველზეც საქმიანობა არ დაექვემდებარა გზშ-ს. ბაზარზე არსებული მაღალი მოთხოვნიდან გამომდინარე, შპს „ალტერვეისტი“ გეგმავს 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის გაფართოებას. ვინაიდან ქალაქ თბილისში არსებული ობიექტის ტერიტორია მცირეა და გაფართოების საშუალებას არ იძლევა, ზემოაღნიშნული ობიექტის გადატანა გათვალისწინებულია ახალ ტერიტორიაზე.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის განთავსებისთვის შერჩეული ახალი საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ რუსთავში, დავით გარეჯის ქუჩა №28-ში, შპს „სანიტარი“-ს საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 02.07.02.673; ფართობი: 5 577 m^2), რომლითაც შპს „ალტერვეისტი“ იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ისარგებლებს. ობიექტის განთავსების მიწის ნაკვეთის GPS კოორდინატებია: X-502,094.800 Y-4,599,516.118; X-502,072.310 Y-4,599,546.876; X-502,142.094 Y-4,599,598.469; X-502,202.948 Y-4,599,515.125; X-502,174.836 Y-4,599,494.951; X-502,136.141 Y-4,599,546.545. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი (ს/კ: 02.05.09.141) მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 510 მეტრში. ამავე მიმართულებით, დაახლოებით 25 მეტრში, გადის საავტომობილო გზა. საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 1 300 მეტრში მიედინება უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდინარე მტკვარი. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ფიქსირდება სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების მქონე ობიექტები.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია წარსულში გამოიყენებოდა საწარმოო მიზნებისთვის. მისი ზედაპირი მოშანდაკებულია და განთავსებულია შენობა-ნაგებობები. საპროექტო 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტი წარმოდგენილი იქნება 38 ერთეული მიწისზედა რეზერვუარისგან შემდგარი სარეზერვუარო პარკით. რეზერვუარები განთავსდება როგორც

საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ შენობა-ნაგებობაში, ისე მის გარეთ და აღიჭურვება გადავსების საწინააღმდეგო სისტემით. შენობა-ნაგებობაში განთავსდება 18 ერთეული, თითოეული 25 $მ^3$ მოცულობის მიწისზედა რეზერვუარი, ხოლო შენობა-ნაგებობის გარეთ – 20 ერთეული სხვადასხვა მოცულობის (1 ერთეული – 75 $მ^3$; 1 ერთეული – 55 $მ^3$; 2 ერთეული – თითოეული 8 $მ^3$; 16 ერთეული – თითოეული 25 $მ^3$) მიწისზედა რეზერვუარი. დოკუმენტში მითითებულია, რომ საერთო ჯამში ობიექტზე მოეწყობა 946 $მ^3$ მოცულობის სარეზერვუარო პარკი. თუმცა, მონაცემთა გადამოწმებით (რეზერვუარების ჯამური რაოდენობა და თითოეულის მოცულობა) დგინდება, რომ სარეზერვუარო პარკის ჯამური მოცულობა 946 $მ^3$-ს ნაცვლად, 996 $მ^3$-ს შეადგენს. ობიექტის სამუშაო რეჟიმი იქნება წელიწადში 270 დღე, დღეში 8 საათი და დასაქმდება 6 ადამიანი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა გათვალისწინებულია „ნარჩენების მართვის კოდექსით“ განსაზღვრული R13 ოპერაციის განხორციელების მიზნით. „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის №426 დადგენილებით, ობიექტზე შესანახად გათვალისწინებული სახიფათო ნარჩენები მოქცეულია მე-13 ჯგუფში (ზეთის ნარჩენები გარდა საკვებად გამოყენებული ზეთებისა, რომლებიც განხილულია 05, 12 და 19 თავებში) და კლასიფიცირდება შემდეგი კოდებით: 13 01 05* – არაქლორირებული ემულსიები; 13 01 09* – მინერალური ქლორირებული ჰიდრავლიკური ზეთები; 13 01 10* – მინერალური არაქლორირებული ჰიდრავლიკური ზეთები; 13 01 11* – სინთეტური ჰიდრავლიკური ზეთები; 13 01 12* – ადვილად ბიოდეგრადირებადი ჰიდრავლიკური ზეთები; 13 01 13* – სხვა ჰიდრავლიკური ზეთები; 13 02 04* – ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის მინერალური ქლორირებული ზეთები და ქლორირებული ზეთოვანი ლუბრიკანტები; 13 02 05* – ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის მინერალური არაქლორირებული ზეთები და არაქლორირებული ზეთოვანი ლუბრიკანტები; 13 02 06* – ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის სინთეტიკური ზეთები და სხვა ზეთოვანი ლუბრიკანტები; 13 02 07* – ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის ადვილად ბიოდეგრადირებადი ზეთები და სხვა ზეთოვანი ლუბრიკანტები; 13 02 08* – ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის სხვა ზეთები და სხვა ზეთოვანი ლუბრიკანტები; 13 03 06* – საიზოლაციო და თბოგადამცემი მინერალური ქლორირებული ზეთები, რომლებსაც არ ვხვდებით 13 03 01 პუნქტში; 13 03 07* – არაქლორირებული საიზოლაციო და თბოგადამცემი ზეთები და სხვა სითხეები; 13 03 08* – სინთეტური საიზოლაციო და თბოგადამცემი ზეთები; 13 03 09* – ადვილად ბიოდეგრადირებადი საიზოლაციო და თბოგადამცემი ზეთები; 13 03 10* – სხვა საიზოლაციო და თბოგადამცემი ზეთები; 13 04 01* – ტრიუმის ზეთები სახმელეთო ნავიგაციიდან; 13 04 02* – ტრიუმის ზეთები ნავმისადგომის საკანალიზაციო სისტემიდან; 13 04 03* – ტრიუმის ზეთები სხვა ტიპის ნავიგაციიდან; 13 05 06* – ნავთობი, ზეთი ნავთობი, ზეთი/წყლის სეპარატორიდან (გამყოფი მოწყობილობიდან).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ობიექტზე ზეთის ნარჩენების შეტანა მოხდება ავზებით ან ზეთის მზიდი ავტოტრანსპორტით, რომელსაც გავლილი ექნება რეგისტრაცია. ზეთის ნარჩენები თვითდენით მიეწოდება 5 $მ^3$ მოცულობის მიმღებ რეზერვუარს, საიდანაც 10 $მ^3$/სთ სიმძლავრის ტუმბოს საშუალებით გადაიტვირთება რეზერვუარებში, ხოლო ობიექტიდან გატანისას, ასევე 10 $მ^3$/სთ სიმძლავრის ტუმბოს საშუალებით, ჩაიტვირთება ავტოტრანსპორტში. რეზერვუარებში ჩატვირთვა-გადმოტვირთვა განხორციელდება დაახლოებით 50 მმ დიამეტრის მილით. ობიექტზე შენახული ზეთის ნარჩენების გატანა გათვალისწინებულია ექსპორტზე, დაგროვების შესაბამისად. ობიექტზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დაახლოებით 1 000 $მ^3$ ზეთის ნარჩენების შენახვა და შემდგომ ექსპორტზე გატანა (ტვირთბრუნვა), რაც განხორციელდება საზღვაო ან/და სახმელეთო ტრანსპორტით.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ობიექტის მოწყობა არ საჭიროებს მასშტაბურ სამშენებლო სამუშაოებს და აღნიშნული სამუშაოები გაგრძელდება დაახლოებით 2 თვის განმავლობაში.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ობიექტზე წყლის გამოყენება გათვალისწინებულია ადგილობრივი წყალმომარაგების ქსელიდან, სასმელ-სამეურნეო და სახანძრო დანიშნულებით. ობიექტზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური წყლები დაერთდება ადგილობრივი წყალარინების სისტემაზე. რაც

შეეხება სანიაღვრე წყლების მართვას, ვინაიდან ობიექტზე გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის ნაწილი განთავსდება დახურულ შენობა-ნაგებობაში, ხოლო ღია სივრცეში გათვალისწინებული ინფრასტრუქტურისთვის მოეწყობა ფარდულის ტიპის გადახურვა, სანიაღვრე წყლების დაბინძურება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება მავნე ნივთიერებების, კერძოდ, ნაჯერი ნახშირწყალბადების C_{12}-C_{19} წარმოქმნას და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. დაგეგმილი საქმიანობის მასშტაბის და სარეზერვუარო პარკის მოცულობის გათვალისწინებით, ობიექტის ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედება, შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით, საჭიროებს დეტალურ შესწავლას და შეფასებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის წარმოქმნისა და გავრცელების ძირითადი წყარო იქნება ზეთის ნარჩენების მიღება-გატანის პროცესში ჩართული ტუმბოები, რომელთა ხმაურის მაქსიმალური დონე 65 დბა-ს შეადგენს. შესაბამისად, უახლოეს მოსახლესთან დაშორების მანძილის (დაახლოებით 510 მეტრი) გათვალისწინებით, ობიექტის ფუნქციონირების პროცესში ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება მნიშვნელოვანი არ იქნება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია არასახიფათო (შერეული მუნიციპალური ნარჩენები) და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, რომლებიც შეგროვდება კონტეინერებში. არასახიფათო ნარჩენების გატანას უზრუნველყოფს მუნიციპალური სამსახური, ხოლო სახიფათო ნარჩენები, შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. დოკუმენტში მოცემული არ არის ინფორმაცია რეზერვუარების რეცხვისა და მასში დაგროვილი წმენდის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების შემდგომი მართვის შესახებ. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი დამატებით შესწავლას და შეფასებას საჭიროებს.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ობიექტის მოწყობა დაგეგმილია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში, სადაც მცენარეული საფარი ფაქტობრივად არ არსებობს და ხელოვნურად გაშენებული ხე-მცენარეებია წარმოდგენილი. საპროექტო ტერიტორიაზე შესაძლოა შეგვხვდეს მხოლოდ ცხოველთა სინანტროპული სახეობები.

სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ განთავსებულია სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების მქონე ობიექტები, თუმცა, 500-მეტრიან რადიუსში დაგეგმილი საქმიანობის ანალოგიური პროფილის მქონე ობიექტები არ ფიქსირდება. ვინაიდან დოკუმენტში მიმდებარედ არსებული ობიექტების ფუნქციური დანიშნულების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის, არსებულ ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების საკითხი დამატებით შესწავლას და შეფასებას საჭიროებს.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ქალაქ რუსთავის მერიაში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის მასშტაბის და სარეზერვუარო პარკის მოცულობის გათვალისწინებით, შპს ,,ალტერვეისტი“-ს 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე

მოსალოდნელი ზემოქმედება საჭიროებს დეტალურ შესწავლას და შეფასებას. ამასთან, დასაზუსტებელია საქმიანობასთან დაკავშირებული რიგი საკითხები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობის კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და II დანართის მე-10 პუნქტის 10.5 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქალაქ რუსთავში შპს „ალტერვეისტი“-ს 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და ექსპლუატაცია **დაექვემდებაროს** გზშ-ს;
2. შპს „ალტერვეისტი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს ,,ალტერვეისტი“-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,ალტერვეისტი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ქალაქ რუსთავის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/586-21-4-202510021756